

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენიშვნები	2018 000'ლარი	2107 000'ლარი
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები		11	256
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	-
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		11	256
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		-	-
ძირითადი საშუალებები		1	1
არამატერიალური აქტივები		-	-
სამთო ქონება	4	-	12,732
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	-
მოთხოვნები იჯარაზე	4	5,953	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,954	12,733
სულ აქტივები		5,965	12,989

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		-	52
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	5	561	1,695
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		(217)	(47)
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ		2	8
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		346	1,708

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	6	11,038	11,038
დამატებითი შენატანი კაპიტალში		612	612
დაგროვილი ზარალი		(6,031)	(369)
სულ კაპიტალი		5,619	11,281
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,965	12,989

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნე ბი	2018	2107
		000' ლარი	000' ლარი
სხვა შემოსავალი	7	635	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	8	(640)	(295)
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები		(76)	(56)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი			
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	9	(6,776)	
საოპერაციო საქმიანობის შედეგი		(6,857)	(351)
გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე			
ფინანსური შემოსავალი	10	1,581	13
ფინანსური ხარჯი		(385)	(31)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/ხარჯი		1,196	(18)
მოგება/ზარალი გადასახადამდე		(5,661)	(369)
წლის მოგება/ზარალი		(5,661)	(369)

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების
ანგარიშგება

	2018 000' ლარი	2107 000' ლარი
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,310	(379)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(43)	(1,039)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(1,510)	1,670
ფულადი ნაკადებისა და ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(243)	252
სავალუტო კურსის ცვლილების შედეგი	-2	4
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისში	256	0
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	256

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, ქ. თბილისში, ალექსიძის 1. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თეთრიწყაროს რაიონი. მისი ძირითადი საქმიანობაა ფერადი ლითონების მადნების მოპოვება. კომპანია დაარსდა 2017 წელს შპს კავკასიის სამთო ჯგუფის მიერ შპს ჯორჯიან გოლდ კომპანის საწესდებო კაპიტალში ლიცენზიის და გეოლოგიური ინფორმაციის შეტანით. შპს კავკასიის სამთო ჯგუფი ფლობს შპს ჯორჯიან გოლდ კომპანის 100%.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში ლარში.

ამონაგების აღიარება

კომპანიას ფერადი ლითონების მადნების მოპოვება ჯერ არ დაუწყია. კომპანიამ საკუთარი მოპოვების ლიცენზია იჯარით გასცა დაკავშირებულ კომპანიაზე. კომპანია აღიარებს შემოსავალში იჯარის საფასურს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

ქვეყანაში მოქმედებს მოგების გაანგარიშების ე.წ. ესტონური მოდელი, რომლის მიხედვითაც გადასახადის დაკავება ხდება კომპანიიდან ფულადი სახსრების გაცემის მომენტში, შესაბამისად გადავადებული მოგების გაანგარიშება არ ხდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: კომპიუტერული ტექნიკა – 3 წელი;

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სამთო ქონება.

სამთო ქონება წარმოადგენს კაპიტალში შეტანილი ლიცენზიის და გეოლოგიური ინფორმაციის ღირებულებას. 2017 წ. სამთო ქონებას ცვეთა არ ერიცხებოდა, რადგანაც მადნების მოპოვება ჯერ არ იყო დაწყებული. სამთო ქონების ცვეთა უნდა მომხდარიყო წრფივი მეთოდით, საბადოს მარაგების ამოწურვის პერიოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და სამთო ქონების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება.

საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ.

დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

4. სამთო ქონება

სამთო ქონება წარმოადგენს კაპიტალში შეტანილი ლიცენზიის და გეოლოგიური ინფორმაციის ღირებულებას. 2017 სამთო ქონებას ცვეთა არ ერიცხებოდა, რადგანაც მადნების მოპოვება ჯერ არ იყო დაწყებული. 2018 წელს მადნების მოპოვების ლიცენზია გაიცა იჯარით დაკავშირებულ კომპანიაზე არ ემ ჯი გოლდზე, რის შედეგადაც სამთო ქონება აქტივიდან ჩამოიწერა. ამავე დროს 2018 წლიდან მოხდა მისაღები იჯარის საფასურის აქტივებში აღიარება.

5. მიმდინარე სასესხო ვალდებულება

2017 კომპანიამ აიღო სესხი დაკავშირებული კომპანიიდან არ ემ ჯი გოლდიდან. 2018 წელს მოხდა ლიცენზიის იჯარის საფასურისა და დაგროვილი სესხის თანხების ურთერთჩათვლა.

6. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის შევსება მოხდა 2017 წელს, არაფულადი აქტივით: ლიცენზიით და გეოლოგიური ინფორმაციის სახით.

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლად კომპანიამ აღიარა სალიცენზიო ტერიტორიაზე ტყის გაკაფვის სამუშაოების რეალიზაცია დაკავშირებულ კომპანიაზე, არ ემ ჯი გოლდზე.

8. ადმინისტრაციული სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული სხვა საოპერაციო ხარჯი ძირითადად შედგება სალცენზიო ტერიტორიაზე სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებისგან.

9. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი წამროადგენს სხვაობს ჩამოწერილ სამთო ქონებასა და ლიცენზიის იჯარის მისაღებ თანხას შორის.

10. ფინანსური შემოსავალი

ფინანსურ შემოსავლად კომპანიამ აღიარა იჯარით გაცემული ლიცენზიიდან მისაღები თანხები.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი

თორნიკე ლიპარტია

ბუღალტერი

მაია ნინუა

9. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი წამროადგენს სხვაობს ჩამოწერილ სამთო ქონებასა და ლიცენზიის იჯარის მისაღებ თანხას შორის.

10. ფინანსური შემოსავალი

ფინანსურ შემოსავლად კომპანიამ აღიარა იჯარით გაცემული ლიცენზიიდან მისაღები თანხები.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი

თორნიკე ლიპარტია



ბუღალტერი

მაია ნინუა

